შეტყობინება აქციების გასხვისების შესახებ - სს მიკრობანკი კრისტალი

გვსურს ოფიციალურად გაცნობოთ სს მიკრობანკი კრისტალის შემდეგი აქციონერების მიერ აქციების გაყიდვის განზრახვის შესახებ:

აქციონერი: ლუკა ნარმანია

- აქციების რაოდენობა: 862

აქციონერი: მედეა ჩუხუა

- აქციების რაოდენობა: 3331

სს მიკრობანკი კრისტალის წესდების 4.3.1 პუნქტის თანახმად (უპირატესი შესყიდვის უფლება) უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ დაზღვეული წერილით ვაცნობებთ აქციონერებს, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 1 პროცენტს.

გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი სურვილი ისარგებლოთ უპირატესი შესყიდვის უფლებით ამ შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

სს მიკრობანკი კრისტალის წესდების 4.3.1 პუნქტი

აქციონერებს უფლება აქვთ:

4.3.1 გაასხვისონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და აქციონერთა გადაწყვეტილებით გათვალისწინებული წესით. თუ სხვაგვარად არ იქნება გათვალისწინებული აქციონერთა გადაწყვეტილებით, აქციონერის მიერ საკუთარ აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში, სხვა აქციონერებს ექნებათ ასეთი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება საზოგადოების აქციების საერთო რაოდენობაში მათი შესაბამისი წილის პროპორციულად. აქციონერმა სხვა აქციონერებს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება თავის აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. აქციონერებმა, რომლებსაც სურთ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება, აქციები უნდა შეისყიდონ შეტყობინების მიღების თარიღიდან ოცი (20) დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერები არ შეისყიდიან აქციებს აღნიშნულ პერიოდში, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ უპირატესი შესყიდვის უფლება გაუქმებულად ჩაითვლება;

უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების სურვილის დასაფიქსირებლად, მიმართეთ კორპორაციულ მდივანს, ნინო მეტრეველს (ელ-ფოსტა: n.metreveli@crystal.ge)